საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ფ. მ. /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.03.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 018/21

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი გ. გ. /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის განმარტება:**

1.1 2021 წლის 31 მარტს საჩივრის ავტორმა მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა გ. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მომჩივანის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე, ა. მ-ს სარჩელზე წარმოადგენდა მოპასუხე მხარეს - ი. დ.-ს.

1.2 სასარჩელო მოთხოვნა ეხებოდა განქორწინებას, მშობლის უფლებების შეზღუდვას და ი. დ.-სთვის ალიმენტის დაკისრებას. ადვოკატმა ფ. მ.-მ შეადგინა შესაგებელი და შეგებებული სარჩელი, რომლის მიხედვითაც ითხოვდა ბავშვის ნახვის საათების განსაზღვრას. ადვოკატის განცხადებით, ი. დ.-ის მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი. ადვოკატმა ფ. მ.-მ ი. დ.-ს განუმარტა, რომ ვინაიდან ვიდეო-ჩანაწერით დასტურდებოდა, თუ როგორ აედევნა ის ყოფილ მეუღლეს და არსებობდა საფრთხე რომ მოწინააღმდეგე მხარეს მიემართა პოლიციისთვის და აღეძრა სისხლის სამართლის საქმე ადევნების მუხლით, შესაძლოა, ი. დ.-სთვის პატიმრობა შეეფარდათ.

1.3 ადვოკატის განცხადებით, ის ითვალისწინებდა აღნიშნულ გარემოებას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ი. დ.-ის მიმართ აღიძვრებოდა საქმე ადევნების მუხლით, გართულებოდა ბავშვის ნახვის საკითხის განსაზღვრა. შესაბამისად, ი. დ.-ის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის გასაჩივრების საფუძველი არ არსებობდა და ადვოკატმა ფ. მ.-მ მას გააცნო გასაჩივრების მოსალოდნელი შედეგები.

1.4 2020 წლის დეკემბერში სასამართლო პროცესზე მხარეები მორიგდნენ - ბავშვის ნახვის საათებისა და განქორწინების ნაწილში. შესაბამისად, ი. დ. კმაყოფილი იყო ადვოკატ ფ. მ.-ის საადვოკატო მომსახურებით. ამასთან, მშობლის უფლების შეზღუდვის ნაწილში მხარე ითხოვდა მამის თანხმობის გარეშე შესაძლებლობა ჰქონოდა ბავშვი საზღვარგარეთ წაეყვანა სამკურნალოდ. მოსამართლემ მოსარჩელეს განუმარტა, რომ უარის თქმის საფუძველი არ იარსებებდა, თუ წარადგენდა შესაბამის მტკიცებულებებს. სხდომის შემდეგ, ადვოკატმა ფ. მ.-მ განუმარტა, რომ დალოდებოდნენ მეორე მხარის მიერ მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენას და შემდგომ ემსჯელათ დავის გადაწყვეტის შესაძლო გზებზე, თუმცა ი. დ.-მ გადაწყვიტა სხვასთანაც გაევლო კონსულტაცია და მეორე დღეს ადვოკატ ფ. მ.-ს დაუკავშირდა ი. დ. და აცნობა, რომ მიმართა სხვა ადვოკატს და ორივეს უნდა ეწარმოებინა მისი საქმე. მოგვიანებით კი ადვოკატ ფ. მ.-ს ი. დ.-მ განუცხადა, რომ მხოლოდ საქმეში ჩართული ახალი ადვოკატი - გ. გ. იქნებოდა მისი წარმომადგენელი.

1.5 მომჩივანის განმარტებით, ი. დ.-ს ადვოკატი გ. გ. დაპირდა საქმის აუცილებლად მოგებას, კერძოდ განუცხადა, რომ მოდავე მხარე ბავშვს საზღვარგარეთ ვერ წაიყვანდა და რომ ადვოკატ ფ. მ.-ის მოქმედებები იყო არასწორი, კერძოდ „არასწორად გაფორმდა მორიგების აქტი". საჩივრის ავტორის განცხადებით, ი. დ.-ს ადვოკატმა გ. გ.-მ უთხრა, რომ ის ფ. მ.-ისგან განსხვავებით შეძლებდა შემაკავებელი ორდერის გაუქმებას მისი გასაჩივრების გზით და უმჯობესი იყო მარტო გაძღოლოდა საქმეს.

2. ადვოკატის განმარტება:

2.1 ადვოკატმა გ. გ.-მ 2021 წლის 9 აპრილს წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, ის არ იცნობს ფ. მ.-ს. 2020 წლის ბოლოს მას ი. დ.-მ მიმართა საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, რომელსაც სასამართლოში ჰქონდა დავა. ადვოკატის განმარტებით, მან მხოლოდ ერთხელ მიიღო სასამართლო სხდომაში მონაწილეობა, რაც ეხებოდა მორიგების პირობებზე შეთანხმებას და ცდილობდა მისი კლიენტის ინტერესების სასარგებლო პირობებზე შეთანხმებულიყვნენ. აღნიშნულ დღეს, ი. დ. დაუკავშირდა ადვოკატ ფ. მ.-საც, რომელმაც უარი განაცხადა პროცესში მონაწილეობაზე. ადვოკატის განმარტებით, მას რაიმე დაპირება ან გარანტია საქმის შედეგზე ი. დ.-სთვის არ მიუცია.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მომჩივანის მიერ ეთიკის კომისიაში მითითებული საქმის მასალებიდან შეიტყო, რომ ი. დ. ეთიკის კომისიაში საჩივარი წარადგინა ფ. მ.-ის მიმართ, თუმცა საჩივრის შინაარსი მისთვის უცნობია.

2.3 ადვოკატის განცხადებით, შესაძლოა, საჩივრის ავტორს სურს, რომ მის მიმართ აღნიშნული საჩივრის წარდგენით მასზე მოახდენდა გავლენას და ი. დ.-ს თხოვდა, რომ ფ. მ.-ის მიმართ კომისიაში

წარდგენილი საჩივარი უკან გაეხმო. ადვოკატის განცხადებით, ი. დ.-ს მის მიერ გაწეულ საადვოკატო მომსახურებაზე პრეტენზია არ გამოუთქვამს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ადვოკატმა ფ. მ.-მ კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 29 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, მისი კლიენტი ი. დ. ადვოკატმა გ. გ.-მ მის წინააღმდეგ განაწყო, კერძოდ, განუცხადა, რომ ადვოკატმა ფ. მ.-მ საქმეზე „არასწორად გააფორმა" მორიგება.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. გ.-ის მიერ შემდეგი პროფესიული ვალდებულებების შესაძლო დარღვევის შესახებ:

> ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი).

5.3 „კოლეგიალობის პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას... ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს" (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

5.4 ადვოკატი ფ. მ. აწარმოებდა ი. დ.-ის სამოქალაქო საქმეს, რაც ეხებოდა განქორწინებას, მშობლის უფლებების შეზღუდვას, ალიმენტის დაკისრებას და ი. დ.-სთვის ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრის საკითხს. საჩივრის ავტორის პოზიციიდან ირკვევა, რომ მან ი. დ.-ის, როგორც მისი კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედა, მათ შორის აძლევდა

სამართლებრივ რჩევებს საქმის წარმართვის შესაძლო გზებზე. ადვოკატ ფ. მ.-ის წარმომადგენლობის პერიოდში მხარეებს შორის გაფორმდა მორიგება.

5.5 დასტურდება, რომ ი. დ.-მ გადაწყვიტა სხვა ადვოკატისგანაც მიეღო სამართლებრივი კონსულტაცია. კერძოდ, მან მიმართა ადვოკატ გ. გ.-ს. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის ადვოკატ გ. გ.-ის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვას. მომჩივანი უთითებს, რომ ადვოკატმა გ. გ.-მ ი. დ. მის საწინააღმდეგოდ განაწყო, განუცხადა, რომ ფ. მ.-მ არასწორი პირობებით გააფორმებინა მორიგება მოდავე მხარესთან, რის შემდგომაც ი. დ.-მ გააუქმა ადვოკატ ფ. მ.-ის სახელზე გაფორმებული მინდობილობა.

5.6 კოლეგიალობის პრინციპის დაცვით ადვოკატი გამოხატავს პატივისცემას საკუთარი პროფესიისადმი. ადვოკატმა საადვოკატო საქმიანობისას უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ თავი შეიკავოს ისეთი მოსაზრებების გამოხატვისგან, რაც შეიძლება, კოლეგის პატივისა და ღირსების შემლახავი იყოს.

5.7 მოცემულ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ მომჩივანის კლიენტმა მიმართა სხვა ადვოკატს, რომელთანაც სამართლებრივი კონსულტაციის მიღებამ გავლენა მოახდინა ი. დ.-ზე და მან გააუქმა ფ-მ-ის სახელზე გაცემული მინდობილობა - არ არის კოლეგიალობის პრინციპის შესაძლო დარღვევის საფუძველი.

5.8 განსახილველ შემთხვევაში, არ დგინდება ის ფაქტიც, რომ ადვოკატ გ. გ.-მ „არასწორად გაფორმებულ გარიგებად“ შეაფასა მომჩივანის საადვოკატო მომსახურება და მის მიმართ რაიმე ფორმით უარყოფითად განაწყო ი. დ. კოლეგიისთვის ასევე უცნობია ი. დ.-ის პოზიცია აღნიშნულის თაობაზე.

5.9 მომჩივანის პრეტენზიაზე, რაც ეხება ადვოკატ გ. გ.-ის მიერ საქმესთან დაკავშირებით გარანტიის მიცემას ი. დ.-სთვის, აღნიშნულ გარემოებაზეც კოლეგიისთვის უცნობია ი. დ.-ის პოზიცია, რომელიც წარმოადგენს უფლებამოსილ პირს იდავოს მოცემული ეთიკური ვალდებულების დარღვევაზე.

5.10 შედეგად, საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ზემოაღნიშნული პრეტენზიები არ შეიძლება გახდეს ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.11 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №018/21 ადვოკატ გ. გ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/